ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 99

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2018 წლის "18" ივნისი" ქ.თბილისში

ერთის მხრივ სსიპ "გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი"-ს (შემდგომში **შემსყიდველი**), **დირექტორის მოადგილის ზ. კავილაძის სახით,**
მისამართი: ქ.თბილისი, ლ. გოთუას №3, საიდენტიფიკაციო №205300057 ტელ.: 2519469/2382762

ხოლო მეორეს მხრივ, შპს „ბრაით ინდასტრი" (შემდგომში **მიმწოდებელი**), **დირექტორის კ. გევორქიანი სახით,**
მისამართი: ქ. თბილისი, გვეტაძის №6. საიდენტიფიკაციო კოდი №401952348. ტელ: +995 577 775 885;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი", კოდი TBCBGE22, ა/ა: GE04TB7589636020100001.

ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსყიდველი **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №13-ის „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის"** საფუძველზე განახორციელებს (საკუთარი სახსრებით) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით №1-ში მითითებული რაოდენობით და ღირებულებით სხვადასხვა კონსტრუქციაში გამოსაყენებელი სარქველების (**CPV42131200**) შესყიდვა და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. საქონლის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, მაჩვენებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, აგრეთვე რაოდენობა და ერთეულის ფასი მოყვანილია №1 დანართში (ფასების ცხრილი).

2.2. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება – 35** (ოცდათხუთმეტი) ლარი.

2.3. საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

2.4. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. ხარისხი

საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების №1 დანართში (ფასების ცხრილი) აღნიშნულ მაჩვენებლებს.

4. მიწოდების წესი

4.1. საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს **მიმწოდებელი, მისამართზე: ქ. თბილისი, გვეტაძის ქ. №6,** წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან 10 /ათი/ კალენდარული დღის ვადაში.

4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიღების პერიოდში ჩაატაროს შემოწმება. აღნიშნულ შემოწმებას განახორციელებს სამეურნეო ნაწილის უფროსი ლ. კობიძე _____. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო ან არასრული მოცულობით წარმოდგენილი მომსახურების მიღებაზე.

4.3. საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედნადებით, რომლის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი. ამ ვალდებულების დარღვევა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებლს საქონელის სრული ღირებულება ანგარიშ-ფაქტურის ან/და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საქონელის სრულად მიწოდების თარიღიდან არაუმეტეს 10 /ათი/ დღის ვადაში.

5.2. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

5.3. გადახდის ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება.

5.4. გადაცემის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

6. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

6.1. საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისროს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

6.2. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია საქონლის მიწოდება და ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული საურავების ჯამური თანხა გადააჭარბებს მიწოდებული საქონლის ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მიმწოდებელს დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი საქონლის ღირებულების 2%-ის ოდენობით.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისგან თავისუფალი ნივთი. ამ ვალდებულებების დარღვევა იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრუებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლესაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებული ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნა ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. სხვა პირობები

8.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს **2018 წლის 30 ივლისის ჩათვლით.**

8.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

8.3. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.5. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. გაფრთხილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და გაეგზავნოს მეორე მხარეს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტამდე სამი დღით ადრე ყველა ურთიერთანგარიშსწორების ჩატარებით მოქმედების შეწყვეტის თარიღისათვის.

8.6. წინამდებარე ხელშეკრულების გაუქმება ვადაზე ადრე შეიძლება მოხდეს ნებისმიერი მხარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ყველა ურთიერთანგარიშსწორების ჩატარებით ხელშეკრულების გაუქმების თარიღისათვის.

8.7. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებებისა და მოვალეობების მესამე პირებზე გადამცემი მხარე პასუხისმგებელია მათზე ისევე, როგორც საკუთარ ქმედებებზე მეორე მხარის წინაშე.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეული ხელისმომწერი მხარისათვის, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან

სსიპ "გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი"-ს
დირექტორის მოადგილე
ზ. კავილაძე

მიმწოდებლის მხრიდან

შპს „ ბრაით ინდასტრი"-ს

დირექტორი

კ. გევორქიანი

დანართი №1
2018 წლის "18" ივნისი " № 99 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	CPV კოდები	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ღირებულება (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)	მიწოდების ვადები	მიწოდების ადგილი
1	**სარქველი 4V210-08 24VDC PB**	42131200	**1 ცალი**	**35**	**35**	2018 წლის 28 ივნისი	მიმწოდებლის იურიდიული მისამართი
					35 ლარი		

შენიშვნა: საქონლის ერთეულის ფასსა და საერთო ღირებულებას შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საქონლის ერთეულის ფასს.

შემსყიდველის მხრიდან

სსიპ "გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი"-ს
დირექტორის მოადგილე
ზ. კავილაძე

მიმწოდებლის მხრიდან

შპს „ ბრაით ინდასტრი"-ს
დირექტორი
კ. გეეორქიანი